

ნინო ხახიაშვილი

ერთი ფორმის დამკვიდრებისათვის ქართულში

დღეს ხშირად გავიგონებთ მრევლის მეტყველებაში (და არა მხოლოდ მრევლისა): „მამაო ამბობს“, „მამაომ თქვა“, „დედაოს ვეტყვი“...

თხუთმეტოდე წლის წინ გამოქვეყნდა ქალბატონი შუქია აფრიდონიძის წერილი: **სულიერ მამათა მოხსენიებისა და მიმართვის ფორმები – „მამაო არჩილი** თუ **მამა არჩილი** მოვიდა? **მამაო ზურაბ!** თუ **მამა ზურაბ!**“

„დღეს, როცა რელიგია ჩვენში აღარ იკრძალება, ეკლესიაც აღორძინების გზაზეა და საზოგადოებაც ხელახლა ეჩვევა დავიწყებულ საეკლესიო ტერმინოლოგია-ფრაზეოლოგიას, ყურადღებას იქცევს სულიერ მამათა მოხსენიებისა თუ მიმართვის ფორმების უმართებულოდ ხმარების ფართოდ გავრცელებული შემთხვევები... ცნობილია, რომ ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვა **მამა** რელიგიური მნიშვნელობით ხმარებისას აღნიშნავს როგორც ღმერთს (**მამა ღმერთი, მამაზეციერი**), ისე მის ამქვეყნიურ განმასახიერებელს – სასულიერო პირს. მიმართვისას ეს სიტყვა ჩვეულებრივი მშობლის აღმნიშვნელი სახელისაგან განსასხვავებლად დამკვიდრებულია სპეციფიკური **მამაო** ფორმით“. ცნობილი გამოთქმაც „**მამაო ჩვენო**“ არის ლოცვისას ღმერთისადმი მიმართვის ფორმა (რომელიც შემდგომ იქცა თვით ამ ლოცვის სახელწოდებად, ამ სიტყვებით რომ იწყება).

„...სრულიად შეუწყნარებელია **მამაო** ფორმის გამოყენება იქ, სადაც მიმართვის კონტექსტი არა გვაქვს. დღეს კი საკმაოდ ხშირად გვესმის და ვკითხულობთ: „მამაო ამბობს“, „მამაომ თქვა“, „მამაოს უთქვამს... სასულიერო პირის მიმართ **მამაო** ფორმის ხმარება გამართლებულია მხოლოდ მიმართვის ფორმებში – ისიც მაშინ, როცა ეს საზოგადო სახელი დამოუკიდებლად გამოიყენება; გამონაკლისის სახით დასაშვებია აგრეთვე ამ ფორმის ხმარება საკუთარ სახელთან ერთად მხოლოდ მიმართვისას, ვინაიდან ამის კულტურული ტრადიცია არსებობს (მაგ., ილიას წერილში: **მამაო აღექსი!**). ყველა სხვა ფორმაში სიტყვა **მამა** უცვლელი დარჩება...“ [აფრიდონიძე 2009: 60, 62].

იგივე შეიძლება გავიმეოროთ ფორმა „**დედაოს**“ შესახებაც.

ჩვენი ინტერესის საგანი ამ ფორმების დამკვიდრების მიზნზე-

ბის მოძიება და ახსნა, გარკვევა იმისა, თუ რას წარმოადგენს დასახელებული ფორმა: მცდარ წარმოებას თუ – ენაში არსებული შესაძლებლობების გამოყენებით ორი სიტყვის ერთმანეთისაგან გარჩევის ამსახველ ფაქტს.

„ენაში ყოველთვისაა ხელსაყრელი ნიადაგი, ესა თუ ის მნიშვნელობა არატიპიური საშუალებით იქნეს გამოხატული. მით უფრო, როცა საქმე მნიშვნელობათა ცალკეულ, უწვლილეს ელფერს, ნიუ-ანსს ეხება...“ [ჯორბენაძე 1985: 219].

არნოლდ ჩიქობავა წერს: „სახელის ფუძე არ იკვეცება, როცა საზოგადო სახელი „მამა“, „დედა“, „ბებია“, „პაპა“ საკუთარი სახელის ნაცვლად იხმარება: შდრ. „დედას თავშალი“ (შვილი ამბობს თავის დედაზე!), მაგრამ: „დედის დარიგება“ (= საერთოდ, დედის, მშობლის დარიგება)... „მამას ჩიბუხი“, მაგრამ „მამის მოვალეობა შვილების წინაშე“ [ქეგლი I, 1950: 038].

შიდილება გავიხსენოთ აგრეთვე საალერსო შესიტყვებანი: „პაპას ქალი“, „პაპას კაცი“, „დედას სიცოცხლე“, „მამას ვაჟკაცი“... შდრ., „დედას ბიჭი“ (საუბ. განებივრებული ვაჟი, – დედის ნებიერი... // დაცინ. ქალივით, აზიზად გაზრდილი ბიჭი“) [ქეგლი III, 1953].

ისტორიულად ენაში ამგვარი შემთხვევა არცთუ იშვიათია. ვფიქრობთ, ასეთია წოდებითი ბრუნვის ფორმების – **მამაოსა** და **დედაოს** – დამკვიდრების მცდელობაც სასულიერო პირთა მიმართ (მამისა და დედისაგან განსასხვავებლად).

ამ ფორმების დამკვიდრების რამდენიმე მიზეზი შეიძლება დავასახელოთ:

1. მიმართვის ფორმები – **მამაო ჩვენო** და **დედაო ღვთისაგ** – ლოცვისას ღმერთს და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მიემართება (**მამაო ჩვენო** შემდგომ თვით ამ ლოცვის სახელწოდებად იქცა, სწორედ ამ სიტყვებით რომ იწყება);

2. **დედაო** და **მამაო** მიმართვის ფორმებად ძველი ქართულის კუთვნილებაა. დღეს, ჩვეულებრივ გვაქვს: მამა[ვ], დედა[ვ];

3. საკუთარ მშობლებს შეიძლება ასე მივმართოთ: **მამა, მამი, მამილო, მამიკო, მა...** [მაგრამ არასოდეს ვიტყვით **მამაო**], ან კიდევ: **დედა, დედი, დედილო, დედიკო, დე...** [მაგრამ არასოდეს ვიტყვით: **დედაო**].

4. **დედაო** და **მამაო** – ეს არ არის ოფიციალური მიმართვის, მოხსენიების ფორმა: ოფიციალურობის შემთხვევაში აუცილებლად

დავწერთ ან ვიტყვით: ჩემმა მოძღვარმა, მამა დავითმა, მღვდელმა იოსებმა... დედა ქეთევანმა... მაგრამ ერთმანეთში საუბრისას, ასე მოვიხსენიებთ: მამამ თქვა, მამას ველოდები... [იგულისხმება, რომ ჩემს მოძღვარს ვუცდი...]. ეს არის გამოხატულება იმ მშობლიური დამოკიდებულებისა, რომელიც არ საჭიროებს ოფიციალურ ენას.

5. -**თ** სუფიქსი არაერთი სახელის მაწარმოებელია ქართულში, არსებობს პარალელური ფორმები: ბოცა // ბოცო, გვერდი // გვერდო, დობირა // დობერა // დობირო [გურ.] „საუკეთესო ნიადაგი ვაზის გასაშენებლად; ვაკე ადგილი, სადაც ვაზია გაშენებული“; თბე // თბო, ფერდი // ფერდო, კუდი // კუდო, ჭდე // ჭდო, ცუგა // ცუგო, ჩრდილი // ჩრდილო, გრილი // გრილო, ჟოლი // ჟოლო, დოყი // დოყო...

6. ენა თავად ახდენს დეფინიციას: სიტყვა **მამაო** ჩვეულებრივი მშობლის (ხორციელი მამის) აღმნიშვნელი სახელისაგან განსასხვავებლად დამკვიდრდა (მკვიდრდება), რომელიც მოძღვრის (სულიერი მშობლის, მამის) აღმნიშვნელია.

ვფიქრობთ, ეს ის მიზეზებია, რომლებიც უკვალავს გზას ამ სიტყვების (**მამაო**, **დედაო**) ენაში დამკვიდრებას. მრევლის მეტყველებაში დასახელებული ფორმები წარმოადგენს არაოფიციალური, ახლობლური, თბილი, მშობლიური განწყობის გამოხატულებას, ხოლო ოფიციალურობის შემთხვევაში აუცილებლად დავწერთ ან ვიტყვით: ჩემმა მოძღვარმა, მამა დავითმა, მღვდელმა იოსებმა... დედა ქეთევანმა... მაგრამ ერთმანეთში საუბრისას, ასე მოვიხსენიებთ: მამამ თქვა, მამას ველოდები... (იგულისხმება, რომ ჩემს მოძღვარს ვუცდი...), მაგრამ არასოდეს ვიტყვით: მამაო ალექსიმ მითხრა... **მამაო** და **დედაო** ფორმები უფრო ბუნებრივია დამოუკიდებლად ხმარების შემთხვევაში.

დაბოლოს, მოვიყვანთ ილია ჭავჭავაძის სიტყვებს, არნ. ჩიქობავას მიერ დამოწმებულს („ქართული ენის ზოგადი დახასიათება“): „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკაო“ – წერდა ილია (ე. ი ენას კი არ ვახვევთ თავზე შეთხზულ ხელოვნურ წესებს, თვით ენაში ვპოულობთ კანონებსაო). ენა იზრდება, ვითარდება, ენის კანონებიც იცვლება: „ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე. ამიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცს (ილია)“ [ჩიქობავა 1950: 024].

ლიტერატურა

აფრიდონიძე 2009 – შუქია აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი.

ქეგლი 1951-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

შანიძე 1980 – აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი.

ჩიქობავა 1950 – არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლი I, თბილისი.

ჩიქობავა 1956 – არნ. ჩიქობავა, რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში? სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. I, ვ. თოფურას რედაქციით, ახალი ქართული ენის კათედრის შრომები I, თბილისი.

ჯორბენაძე 1985 – ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბილისი.

Nino Khakhiashvili

On the Establishment of Certain Word Forms in Georgian

Summary

These days the phrases *mamaom tkva* "the priest said" or *dedaos vetqvi* "I will tell the nun" etc. can be often heard in the speech of the parish and not only of the parish. Our interest is in finding the reasons of establishing these word forms and explaining them. We will try to find out whether the said forms are incorrect variants or the facts of distinguishing one word from another using the possibilities of a language. The paper presents the reasons that paves the way for the establishment of these words. The words *mama* "father" and *deda* "mother" have established with specific forms *mamao* and *dedao* when used with the religious meanings. Therefore, the language defines the terms